

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

28. 12. 2015 წელი

2 ეგზ.

ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური
დაგეგმარების სამსახური“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 34/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

შემოკლებანი:.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	4
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	7
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	7
შრომის ანაზღაურება.....	8
აქტივების გამოყენება.....	9
საგადასახადო კანონმდებლობა	11
სახელმწიფო შესყიდვები	12
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	14

შემოკლებანი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ - სამსახური;

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

შრომის ანაზღაურება

აუდიტით დადგენილია, რომ სამ შემთხვევაში, შვებულებაში მყოფ მუშაკებზე, 2013 წლის მაისის თვეში პრემიის სახით დარიცხული და გაცემულია 1,3 ათასი ლარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საპრემიო კომისიის სხდომის ოქმებში არ არის მოცემული ინფორმაცია მუშაკების წახალისების კონკრეტული საფუძვლების შესახებ. - გვ. 8

აქივების გამოყენება

- სამსახურის მიერ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის მიზნით გამოცხადებულ აუქციონზე ლოტების ჯამურმა ოდენობამ 78 შეადგინა, რომელთაგან 63 ლოტზე განაცხადი არ შესულა. შესაბამისად, არშემდგარ ლოტებზე განთავსებულ ობიექტებს უნდა შეეწყვიტათ ფუნქციონირება, თუმცა როგორც სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, აღნიშნული კატეგორიის ობიექტები კვლავ აგრძელებდნენ ფუნქციონირებას და ინფორმაცია მათ მიმართ განხორციელებული რაიმე სახის სამართლებრივი მოქმედების შესახებ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. - გვ. 9

- გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად გადახდას დაექვემდებარა 82,4 ათასი ლარი, ხოლო საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ჩათვლით გადახდილია 78,4 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაუხდელად ირიცხება, შპს „ნიმფის“ საიჯარო გადასახადი 5,2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დავალიანებად არ არის აღრიცხული.

- ერთ შემთხვევაში¹ ფიზიკურ პირ როლანდ ქათამაძის მიმართ არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსიულება

¹ ფიზიკური პირი როლანდ ქათამაძე

ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციის გამოყენების შესახებ, რაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 0,3 ათას ლარს შეადგენს. - **გვ.10**

საგადასახადო კანონმდებლობა

სამსახურს 2013 წელს ქონების გადასახადით არ აქვს დაბეგრილი ეკონომიურ საქმიანობაში გამოყენებული ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები და სარგებლობაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა. - **გვ.11**

სახელმწიფო შესყიდვები

- სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2013 წელს განხორციელებული შესყიდვების მიზნებისათვის ბაზრის კვლევის ამსახველი რაიმე დოკუმენტური სახის მტკიცებულება, რითაც განისაზღვრებოდა სამსახურისთვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები. - **გვ.12**

- აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შპს „მწვანე სახლთან“ გაფორმებული ხელშეკრულების² შესაბამისად გაკეთებული დაკვეთების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს. - **გვ.13**

- 2013 წელს განხორციელებული შესყიდვებიდან 2 შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მოთხოვნაში არაარსებითი პარამეტრების გათვალისწინებით, ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის ფაქტებს. - **გვ.13**

რეკომენდაციები

- მუშაკებზე პრემიის გაცემა უნდა წარმოებდეს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში, წახალისების კონკრეტული მიზნებისა და დამსახურების გათვალისწინებით. ამასთან, დაუშვებელია შვებულებაში მყოფ პირებზე პრემიის გაცემა;

- საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, სრულად იქნეს დაცული მოქმედი კანონმდებლობისა და მათ

² ხელშეკრულება N32. 07.03.2013. ღირებულება 140,0 ათასი ლარი.

შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები. ამასთან, ქონების უკანონოდ ფლობისა თუ გამოყენების ფაქტებზე უნდა განხორციელდეს სათანადო სამართლებრივი რეაგირება;

- არსებული ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით, მოხდეს 2013 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის კორექტირება;

- შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და შემდგომ დაწესდეს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნეს სატენდერო მოთხოვნითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურება.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში სამსახურის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა სამსახურის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს სამსახურის 2013 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

- შრომის ანაზღაურება
- აქტივების გამოყენება
- საგადასახადო კანონმდებლობა
- სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამსახურის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. სამსახურის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სამსახურის 2013 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამსახური არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. სამსახურის ძირითადი მიზანი და ფუნქციაა:

- ქალაქ ბათუმის გამწვანებული ტერიტორიებისა და მასზე განთავსებული ნივთების (მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენარეების, ქანდაკებების (ძეგლების), შადრევნების და სხვა) მოვლა -პატრონობა;

- პარკების, სკვერების, ქუჩების პროექტირება, ლანდშაფტური დიზაინის მოწყობა;

- მწვანე საფარის, ბაღების, ქუჩების პროექტირება, ლანდშაფტური დიზაინის მოწყობა;

- მწვანე საფარის, ბაღების, სკვერებისა და ყვავილნარების გამწვანება - გაშენება და დაზიანებული ტერიტორიის აღდგენა; დამხმარე სანერგე-სასათბურე მეურნეობის შექმნა-განვითარება; სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა და სხვა.

წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების მიზნით, სამსახური ფინანსირდება ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, პროგრამის - „ქალაქის გამწვანების ღონისძიებების“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების სახით. აღნიშნული ასიგნების 2013 წლის საბიუჯეტო გეგმა 2020,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მათ შორის 1502,0 ათასი ლარი გამოყოფილი იქნა სუბსიდიის, ხოლო 518,0 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სამსახურის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

(ათასი ლარი)

დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	გადახრა	შესრულების %
ხარჯები	1502,0	1493,8	1506,3	8,2	99,5
სუბსიდიები	1502,0	1493,8	1506,3	8,2	99,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	518,0	515,9	515,9	2,1	99,6
სხვა შემოსავლები	-	84,9	90,6		
ჯამი	2020,0	2094,6	2112,8		

შრომის ანაზღაურება

2013 წელს სამსახურის მიერ შრომის ანაზღაურების სახით დარიცხული და გაცემულია 881,7 ათასი ლარი. მათ შორის 699,6 ათასი ლარი გაცემულია თანამდებობრივი სარგოს, ხოლო 182,0 ათასი ლარი პრემიის სახით. სამსახურში პრემიის გაცემა წარმოებდა პერიოდულად, საპრემიო კომისიის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. 2013 წელს შრომის ანაზღაურების სახით გაცემული თანხა, სამსახურის მთლიანი ასიგნების 43,6 პროცენტს შეადგენს.

კრიტერიუმი

საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად³, შვებულება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას, რა დროსაც დასაქმებული დროებით არ ასრულებს გათვალისწინებულ სამუშაოს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ თანახმად კი, პრემია წარმოადგენს ფულად წახალისებას. აქედან გამომდინარე, შვებულებაში მყოფ პირზე პრემიის გაცემა არ შეიძლება ჩაითვალოს ჯეროვნად შესრულებული სამუშაოსათვის გაცემულ წახალისებად.

გამოვლენილი გარემოებები

აუდიტით დადგენილია, რომ სამ შემთხვევაში, შვებულებაში მყოფ მუშაკებზე, 2013 წლის მაისის თვეში პრემიის სახით დარიცხული და გაცემულია 1,3 ათასი ლარი. მათ შორის: ჯუმბერ ვერძაძეს - 0,5 ათასი ლარი (შვებულების პერიოდი: 08.05.2013-12.06.2013), მურმან ჯინჭარაძეს - 0,4 ათასი ლარი (შვებულების პერიოდი: 01.05.2013-07.06.2013) და ნოდარ ბერიძეს - 0,4 ათასი ლარი (შვებულების პერიოდი: 08.05.2013-

³ საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი

12.06.2013). ამასთან აღსანიშნავია, რომ საპრემიო კომისიის სხდომის ოქმებში არ არის მოცემული ინფორმაცია მუშაკების წახალისების კონკრეტული მიზნების შესახებ.

რეკომენდაცია

მუშაკებზე პრემიის გაცემა უნდა წარმოადგეს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში, წახალისების კონკრეტული მიზნებისა და დამსახურების გათვალისწინებით. ამასთან, დაუშვებელია შვებულებაში მყოფ პირებზე პრემიის გაცემა.

აქტივების გამოყენება

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, სამსახურს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 102,9 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები, 686,2 ათასი ლარის მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, 343,1 ათასი ლარის მატერიალური მარაგები და 7,0 ათასი ლარის სხვა ძირითადი აქტივები. ამასთან, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 8 მაისის N02/606 ბრძანების შესაბამისად, სამსახურს 2013 წლის 1 ნოემბრამდე, სარგებლობის უფლებით გადაეცა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული 351,1 ათასი კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც სამსახური ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცემდა იჯარით და მიღებულ შემოსავალს გამოიყენებდა საკუთარი მიზნებისათვის.

კრიტერიუმი

საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის მიზანია ქონების ეფექტიანი გამოყენება და მაქსიმალური სიკეთის მიღება. შესაბამისად, ამ მიზნით ჩატარებული აუქციონის გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია აუქციონის პირობების დაკმაყოფილება და ქონების ვადიანი სარგებლობისათვის მაქსიმალური ფასის გადახდა. აუქციონის დამთვარების შემდეგ იდება ხელშეკრულება, რითაც დასტურდება აუქციონის შედეგები. ხელშეკრულებით განისაზღვრება სარგებლობის ქირის ოდენობა, მისი გადახდის პერიოდულობა და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის⁴.

⁴ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის N24 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის წესის“ მე-3 მუხლის მე-3-მე-10 პუნქტები

გამოვლენილი გარემოებები

- უსასყიდლოდ მიღებული 351,1 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწიდან, მხოლოდ 23,8 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა დაყოფილი იქნა 103 ლოტად და გატანილი იქნა აუქციონზე 2 ან 3 თვის ვადით იჯარით გაცემის მიზნით. აუქციონის მასალების შესაბამისად, ვაჭრობა გაიმართა მხოლოდ 15 ლოტზე, საერთო ფართობით 3,6 ათასი კვ.მ, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 12 ლოტზე, საერთო ფართობით 3,1 ათასი კვ.მ.

- სამსახურის მიერ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის მიზნით გამოცხადებულ აუქციონზე ლოტების ჯამურმა ოდენობამ 78 შეადგინა, რომელთაგან 63 ლოტზე განაცხადი არ შესულა. შესაბამისად არშემდგარ ლოტებზე განთავსებულ ობიექტებს უნდა შეეწყვიტათ ფუნქციონირება, თუმცა როგორც სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁵ ირკვევა, აღნიშნული კატეგორიის ობიექტები კვლავ აგრძელებდნენ ფუნქციონირებას და ინფორმაცია მათ მიმართ განხორციელებული რაიმე სახის სამართლებრივი მოქმედების შესახებ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

- გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად გადახდას დაექვემდებარა 82,4 ათასი ლარი, ხოლო საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს ჩათვლით გადახდილია 78,4 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაუხდელად ირიცხება, შპს „ნიმფის“ საიჯარო გადასახადი 5,2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დავალიანებად არ არის აღრიცხული. აღნიშნულზე სასარჩელო განცხადება შეტანილია ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

- ელექტრონული აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, 2013 წლის 8 ივლისს, ფიზიკურ პირ როლანდ ქათამაძესთან გაფორმდა ხელშეკრულება 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის შესახებ. საიჯარო ქირის ჯამური ოდენობა 2,8 ათას ლარს შედგენდა. აქედან 0,8 ათასი ლარი გადახდილი იქნა აუქციონში მონაწილეობისათვის საგარანტიო თანხის სახით, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად. კერძოდ, 1,4 ათასი ლარი - 5 აგვისტომდე და 594 ლარი - 5 სექტემბრამდე. 2013 წლის 30 ივლისს, ანუ გადახდის ვალდებულების თარიღამდე 5 დღით ადრე, როლანდ ქათამაძის განცხადების საფუძველზე, გაფორმდა შეთანხმება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე აუქციონზე ბეს სახით გადახდილი თანხა 0,8 ათასი ლარი ჩაეთვალა საიჯარო ქირის

⁵ სამსახურის 2013 წლის 19 აგვისტოს N469/01-15 წერილი, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ზედამხედველობის სამსახურისადმი

გადახდაში, თუმცა არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულების 5,6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციის გამოყენების შესახებ, რაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 0,3 ათას ლარს შეადგენს.

რეკომენდაცია

საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, სრულად იქნეს დაცული მოქმედი კანონმდებლობისა და მათ შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები. ამასთან, ქონების უკანონოდ ფლობისა თუ გამოყენების ფაქტებზე უნდა განხორციელდეს სათანადო სამართლებრივი რეაგირება.

საგადასახადო კანონმდებლობა

სამსახურს, 2013 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი აქვს მოგებისა და ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელთა შესაბამისად მოგების გადასახადის სახით დარიცხულია 11,5 ათასი ლარი, ხოლო ქონების გადასახადი არ არის დარიცხული.

ქონების გადასახადი

კიტერიუმი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად⁶, ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი.

გამოვლენილი გარემოება

2013 წლის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, სამსახურს, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს 90,6 ათასი ლარის ფაქტიური შემოსავალი. მათ შორის 83,6 ათასი ლარი არის სარგებლობაში არსებული მიწის იჯარით გაცემით,

⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203-ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

ხოლო 7,0 ათასი ლარი კი გაწეული მომსახურების საფასურის სახით მიღებული შემოსავალი. მიუხედავად აღნიშნულისა სამსახურს საგადასახადო ორგანოში 2013 წელს გადაგზავნილი აქვს ნულოვანი ქონების გადასახადის დეკლარაცია. შესაბამისად შეუსრულებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, 203-ე მუხლის „ბ“ და 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

რეკომენდაცია

არსებული ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით მოხდეს 2013 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის კორექტირება.

სახელმწიფო შესყიდვები

სამსახურის მიერ 2013 წელს სულ გაფორმებულია 96 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისად შესყიდულია 1111,3 ათასი ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. გაფორმებული ხელშეკრულებიდან 19 შემთხვევაში ხელშეკრულებები გაფორმდა ელექტრონული ტენდერის, 4 შემთხვევაში - კონსოლიდირებული ტენდერისა და 73 შემთხვევაში გამატივებული შესყიდვის ფორმით.

კრიტერიუმი

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა⁷. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპი⁸.

ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად⁹. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოს ან/და მომსახურების გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2

⁸ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 73², მე-4 ნაწილი

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1 პუნქტი.

გამოვლენილი გარემოება

- სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესყიდვის განხორციელების მიზნებისათვის ბაზრის გამოკვლევის ამსახველი რაიმე დოკუმენტური სახის მტკიცებულება, რითაც განისაზღვრებოდა სამსახურისათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები¹⁰.

- სატენდერო განცხადებისა და შპს „მწვანე სახლთან“ გაფორმებული ხელშეკრულების¹¹ პირობების შესაბამისად, გამწვანებისათვის სეზონურად მოყვავილე - ყვავილების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღისა. აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაკეთებული დაკვეთების შესახებ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ სატენდერო მოთხოვნით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს.

- სამსახურის მიერ, 2013 წლის 6 ივნისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი¹² სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალების - სატვირთო წყალმზიდის შესყიდვის შესახებ. სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული სატენდერო განაცხადის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მოთხოვნად სხვა პარამეტრებთან ერთად განისაზღვრა: ძრავის მოცულობა - არანაკლებ 7300 სმ/კუბ და არაუმეტეს 7400 სმ/კუბ; მობრუნების რადიუსი - არანაკლებ 8,2 მ და არაუმეტეს 8,5 მ; დაკიდების სისტემა - წინა/უკანა, მძიმე პირობებზე გათვლილი მრავალფურცლიანი რესორები და ამორტიზატორები; აუზის ტევადობა - 10000 ლიტრი; აუზის ტიპი - ელიფსური ფორმის განაკვეთში, წყლის დონის მაჩვენებლით, არანაკლებ 2 ტიხრით.

ანალოგიურად, 2013 წლის 15 ნოემბერს ტრაქტორის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის¹³ სატენდერო განაცხადით, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მოთხოვნად სხვა პარამეტრებთან ერთად განისაზღვრა: მაქსიმალური სიჩქარე - არაუმეტეს 90 კმ/სთ; სიმძლავრის ამრთმევი ლილვი პირველი ბიჯი - არანაკლებ 500 ბრუნი წუთში, მეორე ბიჯი - არანაკლებ 950 ბრუნი წუთში; ციხვის დატვირთვის მაქსიმალური კუთხე: არანაკლებ 50° და არაუმეტეს 60°.

¹⁰ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

¹¹ ხელშეკრულება N32. 07.03.2013. ღირებულება -140,0 ათასი ლარი.

¹² SPA 130012453. სავარაუდო ღირებულება - 170,0 ათასი ლარი

¹³ SPA 130024808 . სავარაუდო ღირებულება - 70,0 ათასი ლარი.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრების აღნიშნული მოთხოვნის განსაზღვრის აუცილებლობა, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა განმარტებული. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ შესყიდვის ობიექტისათვის ტექნიკურ მოთხოვნად განსაზღვრულია არაარსებითი პარამეტრები და ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის ფაქტებს.

რეკომენდაცია

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და შემდგომ დაწესდეს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნეს სატენდერო მოთხოვნითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური დადასტურება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.


აუდიტის ჯგუფის წევრები:

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

რამაზ დიასამიძე/აუდიტორ-ასისტენტი/

უჩა პაპუკაშვილი/აუდიტორ-ასისტენტი/

 28.12.2015წ.

 28.12.2015წ.

 28.12.2015წ.